

ტენდერი

გამჭვირვალეფარიანი მრავალჯერადი პირბადეების შესყიდვაზე

"საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" (CSRDG) "ფონდ აურესთან" პარტნიორობით ახორციელებს პროექტს "გამჭვირვალეფარიანი პირბადე ადამიანის უფლებებისთვის". პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (EaP Civil Society Forum) რეგრანტირების სქემის (FSTP) ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მიერ რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის ნაწილს.

CSRDG აღნიშნული პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს მრავალჯერადი გამჭვირვალეფარიანი პირბადის შესყიდვისთვის. შესასყიდი პირბადის რაოდენობა 3700.

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია ხელს უწყობს, ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: www.csrdg.ge

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მიზანია სმენის სირთულეების მქონე ადამიანების (მათ შორის ხანდაზმულთა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა) მდგომარეობის გაუმჯობესება COVID-19-ის პრევენციული ზომების ნეგატიური შედეგების შემცირების გზით. პროექტის ფარგლებში განხორციელდება გამჭვირვალეფარიანი პირბადეების პილოტირება სმენის სირთულეების მქონე პირთა მომსახურებებზე მისაწვდომობისა და სოციალური ინტეგრაციის ხარისხის გაზრდის მიზნით.

სატენდერო განაცხადის მოთხოვნები

1. სატენდერო განაცხადის ტექნიკური მოთხოვნები:

- პირბადე უნდა შედგებოდეს გამჭვირვალე საფარისა და ნაჭრის ქსოვილისაგან (გამჭვირვალეფარიანი პირბადის ვიზუალური მაგალითები იხილეთ თანდართულ დოკუმენტად);
- პირბადე განკუთვნილი უნდა იყოს მრავალჯერადი მოხმარებისათვის;
- ქსოვილის ნაწილი უნდა იყოს სამშრიანი „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით;
- ქსოვილი არ უნდა იყოს წელვადი;
- გამჭვირვალე ნაწილი არ უნდა იორთქლებოდეს;
- გამჭვირვალე ნაწილი საუბრისას ტუჩებს არ უნდა ეკვროდეს;
- გამჭვირვალე ნაწილის ზომები უნდა იყოს არა უმცირეს 8,5 სმ X 5,5 სმ;
- გამჭვირვალე ნაწილი უნდა იკავებდეს პირბადის მთელი ზედაპირის დაახლოებით 20%-ს;
- გამჭვირვალე ნაწილს არ უნდა ჰქონდეს სპეციფიკური სუნი;
- გამჭვირვალე ნაწილი უნდა დამზადდეს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო მასალისგან (მაგ. გამჭვირვალე ვინილი);
- უნდა ჰქონდეს ცხვირზე ფიქსაცია და რეზინების სამაგრი კარგი ფიქსაციით;
- დაფასობული უნდა იყოს ჰერმეტიკულად 50 და/ან 100 ცალიანი შეკვრებით
- სასურველია ქონდეს ლაბორატორიული დასკვნა უვნებლობასა და ვირუსისგან ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებით

2. განაცხადისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- განმცხადებლის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- დანართი N1 - სატენდერო განაცხადის შემოთავაზება
- დანართი N2 - შემოთავაზების ტექნიკური მახასიათებლები და ფასი
- ინფორმაცია არანაკლებ სამი რეკომენდატორის შესახებ, მათ შორის აუცილებლად ორი მომხმარებელი უნდა იყოს იურიდიული პირი (კომპანიის სახელწოდება; გაწეული მომსახურება; რეკომენდატორის სახელი, გვარი და პოზიცია; საკონტაქტო ტელეფონი)
- შემოთავაზებული გამჭვირვალეფარიანი მრავალჯერადი პირბადის ვიზუალური გამოსახულება: ჩანახატი, კომპიუტერული გრაფიკა,სურათი
- ლაბორატორიის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ

3. დოკუმენტაციის წარდგენისა და სატენდერო განაცხადის პროცედურა

- განაცხადის გამოგზავნის ბოლო ვადა **23 დეკემბერი**
- განაცხადის უნდა გამოგზავნოთ შემდგომ ელ. ფოსტაზე: ssdp.csrddg@gmail.com
- განაცხადის გამოგზავნისას წერილის სათაურში მიუთითეთ: **TFM სატენდერო განაცხადი**
- სატენდერო განაცხადი საბოლოო მომწოდებლის შერჩევა განხორციელდება ორ ეტაპად:

- I. პირველ ეტაპზე წარმოდგენილი განმცხადებლის გამოცდილების, სატენდერო შემოთავაზების ტექნიკური მახასიათებლებისა და ფასის შესაბამისად შერჩეული იქნება განმცხადებლები მეორე ეტაპისათვის;
- II. მეორე ეტაპისათვის განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს უსასყიდლოდ სატესტო 4 ნიმუში, შეტყობინების მიღებიდან არა უმეტეს 7 კალენდარულ დღეში. წარმოდგენილი ნიმუშების შესაბამისად შეირჩევა საბოლოო მომწოდებელი და გაფორმდება ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების პირობები და სამუშაოს შესრულების ვადები

- 4.1. პროდუქციის მთლიანი რაოდენობის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 30 კალენდარულ დღეში;
- 4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით, პროდუქციის მოწოდებიდან და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. სხვა მოთხოვნები

- 5.1. წინადადების წარდგენის მომენტისთვის განმცხადებელი არ უნდა იყოს:
 - გაკოტრების პროცესში;
 - ლიკვიდაციის პროცესში;
 - საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.
- 5.2. ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასები უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დღგ-ს, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არის დღგ-ს გადამხდელი).
- 5.3. შემსყიდველი, უფლებას იტოვებს თვითონ განსაზღვროს ტენდერის დასრულების ვადა, შეცვალოს ტენდერის პირობები, რასაც დროულად აცნობებს ტენდერის მონაწილეებს, ან შეწყვიტოს ტენდერი მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.
- 5.4. შემსყიდველი, გამარჯვებულ მიმწოდებელს გამოავლენს კომისიის საშუალებით და გადაწყვეტილებას აცნობებს ყველა მონაწილე კომპანიას. შემსყიდველი, არ არის ვალდებული მონაწილე კომპანიას მისცეს სიტყვიერი ან წერილობით ახსნა-განმარტება კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- 5.5. ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასები უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დღგ-ს, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არის დღგ-ს გადამხდელი).
- 5.6. შემსყიდველი, უფლებას იტოვებს თვითონ განსაზღვროს ტენდერის დასრულების ვადა, შეცვალოს ტენდერის პირობები, რასაც დროულად აცნობებს ტენდერის მონაწილეებს, ან შეწყვიტოს ტენდერი მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.
- 5.7. შემსყიდველი, გამარჯვებულ მიმწოდებელს გამოავლენს კომისიის საშუალებით და გადაწყვეტილებას აცნობებს ყველა მონაწილე კომპანიას. შემსყიდველი, არ არის ვალდებული

მონაწილე კომპანიას მისცეს სიტყვიერი ან წერილობით ახსნა-განმარტება კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.

5.8. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს განმცხადებლისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ასევე მოიძიოს ინფორმაცია განმცხადებელი კომპანიის ან მისი საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ განმცხადებლის მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ან გაყალბებულია, განმცხადებელი იქნება დისკვალიფიცირებული.

სატენდერო განაცხადი შეფასდება შემდგომი კრიტერიუმებით:

- წარდგენილი შემოთავაზების ტექნიკური მახასიათებელი
- კონკურენტული ფასი
- წარდგენილი ნიმუშის ხარისხი
- განმცხადებლის გამოცდილება მრავალჯერადი პირბადეების წარმოების

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვწეროთ ელექტრონულ ფოსტაზე : ssdp.csrdg@gmail.com